დამტკიცებულია სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს დირექტორის
2023 წლის 30 ნოემბრის N 125 „ო“ ბრძანებით

კოლეჯისა და სუბიექტის მიერ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების კოოპერაციული ფორმით განხორციელების მიზნით, სუბიექტის შერჩევისათვის კრიტერიუმების დაკმაყოფილების შეფასების წესი.

ეს წესი შედგენილია საქართველოს მთავრობის N 416 (09.08.2022) დადგენილების საფუძველზე და არეგულირებს, კოლეჯისა და სუბიექტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის პროგრამის, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის კოოპერაციული ფორმით განხორციელების მიზნით სუბიექტის შერჩევისათვის კრიტერიუმებს და მათი დაკმაყოფილების წესს.

1. დაწესებულებასთან ერთად პროგრამის კოოპერაციული სწავლების სახით განხორციელების უფლება აქვს **მეწარმე სუბიექტს**/იურიდიულ პირს ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსის/ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირს.

2. **კოოპერაციული სწავლება** გულისხმობს, დაწესებულებისა და სუბიექტის მიერ პროგრამის ერთობლივად განხორციელებას, როდესაც შესაბამისი პროგრამის დარგობრივი მოდულებით გათვალისწინებული კრედიტების არაუმეტეს 50%-ის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევა ხდება რეალურ სამუშაო გარემოში, გარდა ამ წესის მე-3 პუნქტით დადგენილი შემთხვევისა.

3. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განისაზღვრება კოოპერაციული სწავლების ფარგლებში პროგრამის დარგობრივი მოდულებით გათვალისწინებული კრედიტების 50%-ზე მეტის შესაბამისი სწავლის შედეგების **მიღწევის შესაძლებლობა/დასაშვებობა** რეალურ სამუშაო გარემოში.

4. **დაწესებულება უფლებამოსილია,** დაადგინოს დამატებითი კრიტერიუმები, რომელთაც კოოპერაციულ სწავლებაში ჩართვის მიზნით უნდა აკმაყოფილებდეს ამ წესის პირველი პუნქტით განსაზღვრული სუბიექტი.

5. სუბიექტის მიმართ მოთხოვნილი კრიტერიუმები და დადასტურება:

№.	სუბიექტის მიმართ მოთხოვნილი კრიტერიუმები	კრიტერიუმები დასტურდება	
1	აცნობიერებდეს პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულობის მნიშვნელობას და საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის პასუხისმგებლობას და ჰქონდეს პროგრამის განხორციელებაში ჩართვის მოტივაცია;	ა) აცნობიერებს მაღალკვალიფიციური პროფესიული კადრების ჩამოყალიბებაში პრაქტიკული კომპონენტის სწავლების მნიშვნელობას რეალურ სამუშაო გარემოში, საწარმოში დასაქმებული ჰყავს კვალიფიციური კადრები და გამოთქვამს სურვილს, კოლეჯთან ერთად განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები/ მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი საკუთარ ობიექტზე, მის საკუთრებაში არსებული მატერიალურ ტექნიკური ბაზის გამოყენებით უსასყიდლოდ, რასაც ადასტურებს მემორანდუმზე ან და ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ; ბ) საწარმოში აქვს მაღალკვალიფიციური კადრების საჭიროება და აპირებს საწარმოს გაფართოებას (დასტურდება შესაბამისი კითხვარით), პროექტის ფარგლებში(ასეთის არსებობის შემთხვევაში) შეძენილი მატერიალური რესურსი გადაეცემა საკუთრებასი რაც მნიშვნელოვანია საწარმოს გაძლიერებისთვის, ფლობს დარგის შესაბამის მაღალ ტექნოლოგიებს რაც უნდა რომ გაზიარებული იქნეს სხვა საწარმოების მიერ;	
2	მისი ადამიანური და მატერიალური რესურსი შესაბამისობაში უნდა იყოს პროგრამის მოთხოვნებსა და სწავლის შედეგებთან;	ა) ჰყავს, ერთობლივად განსახორციელებელი პროფესიული პროგრამების შესაბამისი კვალიფიკაციის პერსონალი, რაც დასტურდება შესაბამსი დოკუმეტაციით (დიპლომი, სეტრიფიკატი, სამუშაო გამოცდილება და ა.შ) რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ჩართული იქნებიან სწავლებაში;	

		ბ) აქვს განსახორციელებელი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო აღჭურვილობა, რაც დასტურდება, რომელიმე შესაბამისი დოკუმენტაციით (შესყიდვის აქტი, მიღება-ჩაბარების აქტი, სარგებლობაში გადაცემის ხელშეკრულება და ა.შ).	
3	საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზიას/ნებართვას ან სხვა სპეციალურ რეგულირებას დაქვემდებარებული საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, მოპოვებული ჰქონდეს ლიცენზია/ნებართვა ან სპეციალური რეგულირებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილება.	ა) ფლობს, მის მიერ განხორციელებული საქმიანობის უფლებამოსილების დოკუმენტს, რომელიც გაცემულია შესაბამისი ორგანოს მიერ და მოქმედია სწავლების ხანგრძლივობის პერიოდში; ბ) დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ დაინტერესებული საწარმოს მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების/ლიკვიდაციის საქმისწარმოება.	
4	პროფესიული მსმენელები ყზრუნველყოფილი არიან უსაფრთხო გარემოთი	ა) უზრუნველყოფილია შრომის უსაფრთოების პირობები, გაწერილია აქვთ შრომის უსაფრთხოების წესები და გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. *შეტანილია ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 23 თებერვლის N 14 „ო“ ბრძანებით.*	

6. სუბიექტის კრიტერიუმებთან შესაბამისობის დასადგენად შედგენილი კითხვარი აუცილებლად უნდა შეიცავდეს:
   - სუბიექტის დასახელებას (სახელწოდება)
   - საქმიანობის სფერო (დასახელება)
   - საქმიანობის ადგილს
   - საიდენტიფიკაციო კოდი

- ხელმძღვანელი პირის თანამდებობა (სახელი, გვარი, ტელეფონი, ელ.ფოსტა)
- იურიდიული მისამართი
- ფაქტიური მისამართი